ლელო
4-7 სექტემბერი, 1993 წ.
№ 65 (10 858) ფასი 100 კუპონი

არა, ეს გოლი შოთა არველაძეს არ გაუტანია „ლინფილდის" კარში, თუმცა თბილისშიც და ბელფასტშიც მან თითო გოლი გაიტანა და ვინ იცის, იქნებ ევროტურნირების ბომბარდირობასაც გამოჰკრას ხელი".

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გაშვებულმა გოლმა დამარხა „ლინფილდის" ევროპული ოცნებები

„დინამო" — „ლინფილდის" 18 აგვისტოს მატჩს ჩრდილოირლანდიელი სპორტული ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ. ერთ-ერთ მათგანთან მალკოლმ ბროდისთან ინტერვიუც შემოგთავაზეთ. კოლეგები მაშინ შეგვპირდნენ, რომ 1 სექტემბრის საპასუხო მატჩის რეცენზიას მოგვაწვდიდნენ ბელფასტიდან. სიტყვის ხალხი ყოფილა — დინამოელების ხელით დაპირებული მიმოხილვა გამოგვიგზავნეს.

ოთხშაბათს „უინძორ პარკის" სტადიონზე „შავი დღე" დაუდგა „ლინფილდს".

თბილისის „დინამოს" ვარსკვლავის შოთა არველაძის მიერ მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილმა გოლმა ცივი წყალი გადაასხა ჩრდილოირლანდიის გუნდს.

ტრევორ ანდერსონი, მასპინძელთა გუნდის თავკაცი, სულგანაბული უყურებდა, როგორ გაიტანა თამაშის 71-ე წუთზე ჰარი ჰეილოკმა საპასუხო ბურთი, მაგრამ მეორის გატანა, მისდა სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

განცდილი მარცხის მიუხედავად ყველა ლინფილდელი ქების ღირსია. მათ ყველაფერი იღონეს წარმატების მისაღწევად, მაგრამ „დინამო" იმ ღამეს შეუდარებელი იყო. მან გვიჩვენა ძალზე ლამაზი, ტექნიკური და დინამიური ფეხბურთი.

ლი დოჰერტი, ჰარი პიბლსი და მეკარე ვესლი ლემონტი საუკეთესონი იყვნენ მასპინძელთა რიგებში. დოჰერტი პერსონალურად მეურვეობდა თბილისელთა ვარსკვლავს გიორგი ქინქლაძეს და, უნდა ითქვას, ხშირად უხეშობდა, იგივე ითქმის პიბლსზე, რომელმაც არ გაახარა ჯამარაული და სულ ფეხებში ურტყამდა, რისთვისაც ნორვეგიელმა მსაჯმა როი ჰელგემ გააფრთხილა კიდეც.

ბელფასტელთა კაპიტანმა ალან დორნანმა ყოველი ღონე იხმარა, რათა გაემხნევებინა მეგობრები, მაგრამ მას მერე, რაც გატანილი გოლის შემდეგ დინამოელებმა რამდენჯერმე მართლაც ვირტუოზული კონცერტები გამართა მინდორზე და მასპინძლებმა მათ ბურთი ვერ აართვეს, ხელი ჩაიქნია.

ძლიერად და საიმედოდ ითამაშა სტუმართა მეკარე ზოიძემ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, დამაჯერებლად თამაშობდა იგი კარიდან გამოსვლისასაც.

გაშვებული ბურთის შემდეგ „ლინფილდის" თავკაცმა ტრევორ ანდერსონმა ფილიპ კნელის ნაცვლად დესი გორმანი გამოიყვანა მინდორზე, შეცვლამ გაამართლა კიდეც და ახლადგამოსულმა მედგრად შეუტია თბილისელთა კარს. აქვე კარგი შანსი დაკარგა ქინქლაძემ, რომელმაც 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა

იხ. მე-3 გვ.

გაგრის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატია

როგორც ამ დღეებში პრესა იუწყებოდა, „2 აგვისტოს № 16 და № 17 გაგრის საარჩევნო ოლქებში ჩატარდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები იმ დეპუტატთა ნაცვლად, რომლებიც გამოაკლდნენ მათი სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო". № 16 საარჩევნო ოლქში დეპუტატად რეგისტრირებულია **ზურაბ პროკოფის ძე კუცია**, ქართველი, დაბადებული 1950 წელს, ქალაქ გაგრის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

◆ ◆ ◆ ◆ ◆

მილოცვა

ქ. თბილისის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ მთავარ ექიმს, დოცენტ **მამუკა ჟირუხოვს**.

თბილისის სპორტკომიტეტის აპარატის თანამშრომლები დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ გა- [illegible]

ლელა მესხმა დაამარცხა ჯენიფერ კაპრიატი

ნიუ-იორკი. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამდენი მოულოდნელი შედეგი, თანაც სტარტზე, ჩოგბურთში აშშ-ის ღია ჩემპიონატს არ ახსოვს. „სენსაციების ვირუსი" განსაკუთრებით მწვავედ მძვინვარებს ვაჟთა ტურნირში. უკვე გამოეთიშნენ შეჯიბრებას გერმანელი მიხაელ შტიხი (მსოფლიო კლასიფიკაციით მეექვსე ჩოგბურთელი), ჩეხი პეტრ კორდა (№ 9), უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი ანდრე აგასი. თანაც საქმე ისაა, რომ აგასისა და შტიხის მძლეველნი აღმოჩნდნენ არც ისე ძლიერი შვედი ჩოგბურთელები — ჰენრიკ ჰოლმი და თომას ენდქვისტი.

მაგრამ მთავარი ფავორიტები საჩოგბურთო ელიტის რენომეს მტკიცედ იცავენ. ჯიმ კურიემ (აშშ) დაამარცხა მარკო გორისა (ესპანეთი) (6 : 1, 6 : 3, 6 : 3, პიტ სამპრასმა (აშშ) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:1, 6:2, სტეფან ედბერგმა (შვეცია) — ოლივიე დელეტრომი (საფრანგეთი) 6:2, 0:6, 7:6, 5:7, 6:3, მაიკლ ჩანგმა — შელბი კენონი (ორივე — აშშ) 6:1, 7:5, 6:2...

საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოებს წლევანდელი ჩემპიონატის სტარტის მთავარ სენსაციად მიაჩნიათ თბილისელი ლელა მესხის გამარჯვება ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან, მსოფლიოს მერვე ჩოგბურთელ ჯენიფერ კაპრიატისთან, რომელიც თამაშობდა შინ, თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების წინაშე. მოულოდნელი იყო ლელას გამარჯვება თუნდაც იმიტომ, რომ პირველ პარტიაში ულაპარაკო წარმატების (6 : 1) შემდეგ ამერიკელი ძალზე ახლოს ჩანდა სასურველ მიზანთან. და აი, სწორედ აქ გამოიჩინა მესხმა მებრძოლისთვის დამახასიათებელი თვისებები: სიჯიუტე, მიზანსწრაფვა, ნებისყოფა და მოიგო ორი მომდევნო პარტია ერთნაირი ანგარიშით — 6:4.

სხვა სენსაცია ქალთა ტურნირში არ მომხდარა. არანტა სანჩეს-ვიკარიომ (ესპანეთი) აჯობა ფლორენსიო რაბატს (არგენტინა) 6:4, 6:3, გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა) — პეტი ფენდიკს (აშშ) 6:3, 6:1, იანა ნოვოტნამ (ჩეხეთი) — ანჟელიკა გავალდონს (მექსიკა) 6:2, 6:4, ჰელენა სუკოვამ (ჩეხეთი) — მანონ ბოლეგრაფს (ჰოლანდია) 6 : 4, 3 : 6, 7 : 6, ზინა ჰარისონმა (აშშ) — ვირხინია რუანო-პასკალს (ესპანეთი) 6 : 1, 6 : 2.

ვინ საით. ვინ საიდან...

● კრივი

ბურსაში გაემგზავრა საქართველოს მოკრივეთა ნაკრები, რომელიც თურქეთის ამ ქალაქში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს. გუნდის შემადგენლობაში არიან: თბილისელი ალბერტ კაზანჯიანი (54 კგ), ბარსელონის ოლიმპიური თამაშებ- [illegible] ლია (60), თბილისელი კახაბერ ჩიქვინიძე (65,5), ქუთაისელი თენგიზ მესხიძე (67), თელაველი მამუკა ხუტუაშვილი (71), თბილისელი თამაზ ბუაძე (75), მესტიელი ზურაბ ფალიანი (81), მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი გორელი გიორგი კანდელაკი (91), ფოთელი ზურაბ სარსანია (+91).

[illegible] ასპარეზობა დაიწყება ხვალ და გასტანს 12 სექტემბრამდე.

● ხელბურთი

კონტინენტის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ქართულ ხელბურთს თბილისის „ამირანი" წარმოადგენდა. თბილისელები [illegible] ორივე მატჩი წააგეს — 19 : 28 და 24 : 28.

კიდევ ერთი ჩვენი გუნდი — „სტუ-შევარდენი" ჩაებმება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში 4-5 სექტემბერს სლოვაკეთის ქალაქ ბრაშოვში, სადაც ორჯერ შეხვდება ადგილობრივ „ტატრანს".

ტურნირის ექო

ყურადღების ცენტრში ვიყავით....

ლინარესიდან დაბრუნებული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე საუბარზე ხალისით დაგვთანხმდა. ჰქონდა კიდევაც საბაბი — 16 წლამდე ბიჭების პირველ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა, რომელსაც იგი ახლდა, 21 ქვეყნის 28 გუნდთან დავაში II ადგილი, ვერცხლის მედლები და ძვირფასი სამახსოვრო ჯილდო მოიპოვა.



● პირველ ყოვლისა, ცხადია, წარმატებას მოგილოცავთ...

— ერთობ გაბედული გადაწყვეტილებით მივდიოდით ესპანეთის ამ ქალაქში, რომელიც სამი წელია მსოფლიოს თავისებურ საჭადრაკო ცენტრად გადაიქცა ანდალუზიის დედაქალაქში მცხოვრები ბიზნესმენის, ჭადრაკის მეცენატის ლუის რენტეროს წყალობით. 16 წლამდე ბიჭების მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების მოწყობაზე თურმე დიდი ხანია ფიქრობდა მოჭადრაკე-ჟურნალისტი დიმიტრი ბელიცა, რომელიც ახლა ესპანეთში ცხოვრობს. ამ იდეას მხარი დაუჭირა რენტერომ და ბელიცას ჩანაფიქრი წელს განახორციელა — გაიღო ყველა ხარჯი ადგილზე, ჭაბუკთა ტურნირი ნამდვილ საჭადრაკო ზეიმად აქცია. შედეგებზე აღარ შევჩერდები, რადგან „ლელოს" ოპერატიულად უცნობებია მკითხველებისთვის, ვისთან რა ბალანსი ჰქონდა საქართველოს ნაკრებს...

● ჩვენი ბიჭების თავდაჯერებული სვლა წარმატებისკენ გვაფიქრებინებს, რომ მათ სწამდათ საკუთარი ძალებისა.

— ვიბრძოლოთ მხოლოდ მაღალი ადგილებისთვის! — ასეთი იყო საერთო გადაწყვეტილება, რადგან გვჯეროდა, რომ ჩვენი გუნდი ნიჭიერი ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული. მათ მართლაც არ დაუზოგავთ თავი, ამასთან, სამმა მათგანმა — სერგო მოვსესიანმა, გიორგი ბახტაძემ და მიხეილ მჭედლიშვილმა ამ ოლიმპიადამდე თანატოლების მსოფლიო ჩემპიონატებზე, ბრატისლავაში, იასპარეზეს, რაც მათ გამოსვლას, ცხადია, სასიკეთოდ დაეტყო. მათ მერე ალეკო ედიშერაშვილი დაემატა.

I OLIMPIADA INFANTIL DE AJEDREZ
EXCMO. AYUNTAMIENTO LINARES

● და მათ შესანიშნავადაც დაიწყეს...

— კარგად მარტო ჩვენებს როდი დაუწყიათ. ძალზე მნიშვნელოვანი იყო მატჩი სომხეთის ნაკრებთან. იმ მომენტისთვის ისინი გვისწრებდნენ, მაგრამ ჩვენებთან მარცხს ვერ გადაურჩნენ. ამ შეხვედრაში განსაკუთრებით გამოსარჩევი იყო სერგო მოვსესიანის გამარჯვება — პირველ დაფაზე მეტოქემ მას ლაზიერი „დაუჭირა" — სვლის სამჯერ გამეორების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ყაიმი გარანტირებული ჰქონდა, სერგომ კი ლაზიერი შესწირა და... გაიმარჯვა. საბოლოოდ, ჩვენმა გუნდმა მოიგო — 3,5:0,5. ეს ორთაბრძოლა იმიტომაც დაგვამახსოვრდა, რომ ლიდერთა შორის აღმოვჩნდით და პოზიცია ბოლომდე შევინარჩუნეთ. საერთოდ, აუცილებელი აღნიშვნისა და ქების ღირსია სერგო მოვსესიანის გამოსვლა — მან საქართველოს გუნდს 12 შესაძლებლიდან 11 ქულა მოუტანა, პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა და ოქროს მედალიც დაიმსახურა.

● გულდასაწყვეტს რას გაიხსენებდით?

— რუსეთის პირველ („ა") გუნდთან მატჩს. ეს იყო შუა ტურნირის ყველაზე მძაფრი ბრძოლა, რომლის დიდი ანგარიშით მოგებაც შეიძლებოდა და წაგებაც. მართლაც, შუა თამაშში უპირატესობა გვქონდა ოთხივე დაფაზე, საბოლოოდ კი დავთმეთ — 1:3. ფაქტობრივად, ეს იყო ოლიმპიადის ფინალი. რუსეთის ამ გუნდმა საბოლოოდ 1,5 ქულით გვაჯობა. მაგრამ არც მეორე ადგილია ურიგო — აბა, თუ გაიხსენებთ, საქართველოს ვაჟებს ესოდენ პრესტიჟულ ტურნირში როდესმე მოეპოვებინოთ ასეთი მაღალი ადგილი. გუნდის წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ალექსანდრე ბოკუჩავას, რომელიც ლინარესში გვახლდა. იგი ბახტაძის პირადი მწვრთნელიცაა.

● კონკრეტული შედეგის გარდა, თქვენი აზრით, რა მოგვცა ოლიმპიადამ?

— ჩვენი სპორტის მორიგი აღიარება! წარმატებას, რომელიც ვადამდე გავინაღდეთ, ყველა გვილოცავდა. ოლიმპიადას დიდ ადგილს უთმობდა ადგილობრივი პრესა. ყოველდღიური 72-გვერდიანი გაზეთი „ჯოენი" ბელიცას კომენტარებით ვრცლად აშუქებდა ყოველ ტურს და თითქმის ყველა მიმოხილვის ყურადღების ცენტრში საქართველოს ნაკრები იყო.

● რა ითქვა ლინარესში, ეს ოლიმპიადები მომავალშიც ჩატარდება?

— რა თქმა უნდა! შეიქმნა ოლიმპიადების მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში, როგორც საქართველოს ფედერაციის წარმომადგენელი, მეც შემიყვანეს. ეს ბევრს მავალებს. გაისისთვის რენტეროსა და ბელიცასთან ერთად უნდა გადავწყვიტოთ, სად მოეწყოს მორიგი ოლიმპიადა, პრეტენზიას კი ჯერჯერობით ინგლისი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, რუსეთი (სოჭი) აცხადებენ. საკითხი საბოლოოდ გადაწყდება ოქტომბერში, როცა რენტერო და ბელიცა გვეწვევიან.

EXCMO. AYUNTAMIENTO
LINARES'93

● როგორია თქვენი უფლება-მოვალეობანი ამ ორგკომიტეტში?

— მომანიჭეს უფლება, მოლაპარაკება გავმართო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან, მაქვს სხვა უფლება-მოვალეობანიც და, ცხადია, ვეცდები ყოველივე საქართველოს საჭადრაკო ცხოვრების სასარგებლოდაც გამოვიყენო.

● კერძოდ?

— მაგალითად ისიც კმარა, თუ ვიტყვი, რომ საქმიანი შეხვედრა მქონდა ლუის რენტეროსთან. ეს ბიზნესმენი საინტერესო პიროვნებაა. კაცი, რომელიც ასე ზრუნავს მსოფლიო ჭადრაკისთვის, არ შეიძლება გულგრილი იყოს საქართველოს მიმართ. იგი დიდ ინტერესს იჩენს ჩვენი რესპუბლიკისადმი. ოფიციალური წერილიც გამომატანა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ ალექსანდრე ჩიქვაიძესთან. გამანდო ჩანაფიქრიც — საქართველოში სასტუმროს, ძმისა და პურის ქარხნების აგების სურვილის შესახებ. მე ჩემს თავს უფლება მივეცი რესპუბლიკური ფედერაციის სახელით მომეწვია იგი ჩვენს ქვეყანაში. ვიტყვი, რომ იგი თავისი საჭადრაკო საქმიანობით ფიდეს პრეზიდენტობას უმიზნებს — ამას არც მალავს.

● ჩვენი ბიჭების წარმატებამ, ალბათ, სამომავლო იმედიც ჩაგისახათ.

— თუ მათზე სათანადოდ ვიზრუნებთ, ისინი მხარში ამოუდგებიან საქართველოს სახელოვან ქალებს მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლაში. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს შემდგომი დაოსტატების, ვარჯიშის, ტურნირებში მონაწილეობის ყველა პირობა შევუქმნათ — ეს მათ დაიმსახურეს და, მჯერა, შემდგომში უფრო დიდი გამარჯვებებით გაგვახარებენ.

ესაუბრა **ო. ივდოშვილი.**

სურათებზე: საქართველოსა და არგენტინის გუნდების შეხვედრა (მატჩი მოიგეს ჩვენებმა — 3:1). მარცხნიდან — ა. ედიშერაშვილი (IV დაფა), მ. მჭედლიშვილი (III), გ. ბახტაძე (II) და ს. მოვსესიანი (I); მარცხნივ — ჯილდო, რომელიც ჩვენს გუნდს გადაეცა მეორე ადგილისთვის; ასეთი ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა საქართველოს ნაკრები და მისი ოთხივე წევრი.

საით მიექანება ჭადრაკი?

კარგა ხანია, ჭადრაკი მრავალრიცხოვანი რეფორმების მსხვერპლი გახდა. ჯერ იყო და, მოითხოვეს დაფის ზომების გაზრდა, ახალი ფიგურების დამატება... მერე შექმნეს კომპიუტერი, რომელიც თითქოსდა მოწოდებული იყო დახმარებოდა მოჭადრაკეს ორთაბრძოლისთვის მზადებაში, სინამდვილეში კი იგი ჭადრაკის „მესაფლავედ" აქციეს, მერე ნამდვილი კამპანია გაშალეს პარტიის გადადების წინააღმდეგ და ორთაბრძოლის პროცესი ხისტ ჩარჩოში ჩაჭედეს — აქაოდა, გადადებულ პარტიას, არსებითად, მწვრთნელი თუ სეკუნდანტი აანალიზებს, ამიტომ ორთაბრძოლის ბუნებრივი მიმდინარეობა ირღვევაო. კრიტიკოსთა აზრით, საქმე მიდგებოდა ხოლმე „მრჩეველთა" კონკურსზე: ვისაც უკეთესი ანალიტიკოსი უდგას ზურგს უკან, წარმატებასაც ის აღწევს — მოჭადრაკე მხოლოდ მექანიკურად (!) იმეორებს სხვის მიერ ნაპოვნ სვლებს, თვითონ კი საანალიზოდ თავს არ იტკიებსო. ამ მცდარმა მოსაზრებამ შვა ფორმულა — უწყვეტი თამაში პარტიის ბოლომდე.

თავდაპირველად შემოგვთავაზეს რეგლამენტი: 2-2 საათი 40 სვლაზე, მერე — თითო საათი 20 სვლაზე, ბოლოს — თითო საათი პარტიის ბოლომდე. ამ შემთხვევაში, ორთაბრძოლა 8 საათს გრძელდებოდა. ეს მომქანცველი აღმოჩნდა. მაშინ გადაწყვიტეს III ეტაპის შემოკლება — 0,5-0,5 საათი პარტიის ბოლომდე; ბრძოლის ხანგრძლივობა „მხოლოდ" 7 საათში „ჩაეტიეს". ცოტა ხანში ეს დროც შეკვეცეს: II ეტაპი ამოაგდეს, ხოლო I ეტაპს „მიაბეს" თითო საათი პარტიის ბოლომდე (სულ — 6 საათი). არც ამას დასჯერდნენ: დასკვნითი ეტაპი განისაზღვრა 0,5-0,5 საათით (სულ 5 საათი). გამოჩნდა II ვარიანტიც: 1,5-1,5 საათი 40 სვლაზე და თითო საათი თამაშის ბოლომდე (ისევ — 5 საათი). მალე ეს რეგლამენტიც შეკვეცეს: 1 საათი და 45 წუთი თითოეულს 40 სვლაზე და 0,5-0,5 საათი პარტიის ბოლომდე (სულ — 4,5 საათი), არც ამაზე შეჩერებულან: 40 სვლაზე ისევ 1,5-1,5 საათი დააწესეს და დაუმატეს 0,5-0,5 საათი პარტიის ბოლომდე (სულ — 4 საათი), ახლახან გამოჩნდა ახალი რეგლამენტი: 1 საათი და 15 წუთი თითოეულს... პარტიის ბოლომდე (სულ — 2,5 საათი), ოღონდ დღეში უნდა ეთამაშდეს 2-2 პარტია (ჯამში — 5 საათი). ამ წესით დაიგეგმა სწორედ 13-14 წლის ბავშვთა I მსოფლიო გუნდური ოლიმპიადა ესპანეთის ქალაქ ლინარესში. „მოქალაქეობის უფლება" მოიპოვა ე. წ. „სწრაფმა ჭადრაკმაც", რომელმაც მთელ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი. ჭადრაკი იქცა... გასართობად. კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი, „მეფეთა თამაში", რომლის მეშვეობით საუკუნეთა მანძილზე თაობები იზრდებოდა, ფაქტობრივად გამოშიგნეს.

სამაგიეროდ, ჩინებულად აეწყო შეჯიბრებების ორგანიზატორთა საქმე: არავითარი გადადებული პარტიები, აღარც უაღრესად გაჭიანურებული ორთაბრძოლები — ყველაფერი „ჩაჯდა" მისთვის მიჩენილ ადგილზე. მეტისმეტად გამარტივდა შეჯიბრებების ჩატარება, ხარჯთაღრიცხვის შედგენა. მომრავლდა ტურნირები, მათი მონაწილეები, გახშირდა კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკეთა შორის. მთელ მსოფლიოში გაიშალა ე. წ. კომერციული ტურნირების კამპანია, გაჩნდა ჭადრაკის ბიზნესი და, შესაბამისად, ჭადრაკის მრავალრიცხოვანი ბიზნესმენი. ახლებური ჭადრაკი აყვავების გზას დაადგა. ამით კლასიკურ ჭადრაკს იგივე ბედი ეწია, რაც ღვთაებრივ „ავე მარიას" ჯაზური შესრულებით. გაქრა ჭადრაკის აღმზრდელობითი როლი. მისი არსი და მოწოდება — განუვითაროს მოთამაშეს ფანტაზია, მიზანდასახულობა, გეგმაზომიერება, რეალური შესაძლებლობებით ხელმძღვანელობის უნარი, თვითკრიტიკულობა, მახვილი ხედვა, შეუპოვრობა ბრძოლის პროცესში, სილამაზის გრძნობა — და ყოველივე ეს კეთილშობილური, რაინდული წესების დაცვით — დაემცრო ქულის მოპოვებამდე ნებისმიერი გზით, ძირითადად დროის დაზოგვის (ე ი. „სწრაფი თამაშის!") ხარჯზე. ბრძენთა თამაშს წაართვეს ის, რაც ხიბლავდა კაცობრიობას 15 საუკუნის მანძილზე — სიღრმე. ახალგაზრდა მოჭადრაკეს, რომელიც იწყებს ჭადრაკის ათვისებას, მოჭადრაკედ ჩამოყალიბებას, ჩაუნერგეს მოთხოვნილება ინტენსიურად განივითაროს პრაქტიციზმი, ლტოლვა ქულების მოპოვებისაკენ ნებისმიერი ხერხით.

ამ 15-ოდე წლის წინათ თბილისში მეტად საინტერესო ლექცია წაიკითხა მსოფლიო ექსჩემპიონმა პროფესორმა მ. ბოტვინიკმა. ლექციის შემდეგ მსმენელებმა სთხოვეს მას შეეფასებინა თბილისის მოსწავლეთა ტურნირებში დანერგილი რეგლამენტი — თითოეულს 1 საათი და 45 წუთი 40 სვლაზე და 0,5-0,5 საათი პარტიის ბოლომდე. ჭადრაკის პატრიარქის პასუხი ლაკონური იყო — „ეს ბოროტმოქმედებაა!"

ადვილი წარმოსადგენია, რა გზით განვითარდება ჭადრაკი, როგორი მოჭადრაკეები გაიზრდებიან მომავალში, თუ ახლებურმა რეგლამენტმა საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები. ჯერ კიდევ გვიან არაა, შევებრძოლოთ ამ მავნე მოვლენას. მაგრამ, თუ კვლავ წავუყრუეთ, ჭადრაკი საბოლოოდ დაკნინდება, ახალგაზრდა თაობას კი გამოეცლება ზნეობრივი და გონებრივი აღზრდის ერთ-ერთი საიმედო საყრდენი.

ოთარ თურქესტანიშვილი
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ვთხოვთ, ჰონორარი შეიტანოთ „ლელოს" დახმარების ანგარიშზე.

კომენტარი რედაქციის თხოვნით.

პრობლემა აქტუალურია. დღევანდელი რეგლამენტი შედეგია იმ სულმოცხრული მოჭადრაკეების, დილეტანტების მთელი არმიის შეტევისა, რომლებმაც შეძლეს გამარჯვება საღ აზრზე.

მათ ხომ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უფრო გაუადვილდებათ, ვიდრე ღრმად გააზრებული, მეცნიერულ დონემდე ამაღლებული ისეთი ჭადრაკის თამაში, რომელიც ფართო ასპარეზს გაუხსნიდა ფანტაზიას.

სამწუხაროდ, ამ მავნე პრაქტიკამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვები. ვაგლახ, რომ ამითაც არ კმაყოფილდებიან და ჭადრაკის თამაშის წესების ძირფესვიანად შეცვლის მომხრეებიც გამოჩნდნენ.

რა ვიღონოთ, რომ „მეფეთა თამაშს" შევუნარჩუნოთ ის სიადიადე, რომელიც ისტორიამ აქამდე მოგვიტანა? ამაზე უნდა დაფიქრდნენ ჭადრაკის ჭეშმარიტი გულშემატკივრები.

ზ. ბურბენიძე,
დიდოსტატი.

„სულ კოჭებში გვირტყამდნენ და აქი დავსაჯეთ კიდეც"

2 სექტემბრის ღამის 10 საათი, თბილისის აეროპორტი, ზღვა ხალხი, ზეაწეული განწყობილება. სადაც არის ბელფასტიდან ჩამოფრინდება ავიაკომპანია „ორბის" თვითმფრინავი სპეცრეისით თბილისი — ბელფასტი — თბილისი, რომელიც თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბს ჩამოიყვანს.

დამსწრეთა შორისაა ძველი და ულალატო გულშემატკივარი, ქალაქის მერი კოტე გაბაშვილი. დრო ვიხელთეთ და ვკითხეთ: გუნდმა, ქომაგებმა და ორგანიზატორებმა პირველი, ირლანდიური გამოცდა ურიგოდ არ ჩავაბარეთ, რას ფიქრობთ შემდგომზე, დანიურზე? — ისე ყველამ ძალიან მოვინდომეთ, „ფკ კოპენჰაგენსაც" დავამარცხებთ. ორშაბათიდან ვიწყებთ 15 სექტემბრის მატჩისთვის მზადებას, კვლავაც იმედი მაქვს სპორტული ჟურნალისტების თანადგომისა — გვიპასუხა ბატონმა კოტემ.

ამ ლაპარაკში თვითმფრინავიც მოფრინდა. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი დინამოელები ნაცნობ-მეგობრების, ახლობლების, გულშემატკივრების ალყაში ხვდებიან. ძლივს ვახერხებთ მათთან მისვლას და გამოლაპარაკებას.

გივი ნოდია („დინამოს" მთავარი მწვრთნელი): „მინდა მადლობა გადავუხადო ბიჭებს, დავალება ყველამ პირნათლად შეასრულა. „ლინფილდი" ბელფასტში სულ სხვანაირი, „ეკლიანი" ვიხილეთ. ბევრს ეცადნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, გავუძელით. ახლა მხოლოდ შემდგომ მეტოქეზე—დანიის „ფკ კოპენჰაგენზე" ვფიქრობთ. ამ კლუბთან გასამართი მატჩების საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად პირდაპირ ბელფასტიდან შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში გაფრინდნენ სფფ-ს პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ჩვენი კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია".

მიხეილ ყაველაშვილი (გუნდის კაპიტანი): „თამაშის წინ ძალიან ვღელავდით. არ მეგონა, „ლინფილდი" ასეთი გარდასახული თუ დაგვხვდებოდა. კაი ბრაზიანები ყოფილან, სულ კოჭებში გვირტყამდნენ და აქი დავსაჯეთ კიდეც. ის, რომ ბიჭები პროვოკაციებს არ აჰყვნენ, მათ მზარდ პროფესიონალიზმზე მოწმობს. ნელ-ნელა „ვბრძენდებით", ალბათ".

ზაქრო თელია (გუნდის ექიმი): „დინამოში" დავბერდი, რას არ მოვსწრებივარ, მაგრამ ამისთანა „ჩეხვა", ბელფასტის მატჩის პირველ ტაიმში ჩვენებს რომ გაუმართეს არ მახსოვს: ყოველ ორ-სამ წუთში მოედანზე გავრბოდი ხან ერთი, ხან მეორე ფეხბურთელის დასახმარებლად. ტრავმები მიიღეს გიორგი ქინქლაძემ, გოჩა ჯამარაულმა, მიხეილ ყაველაშვილმა, გოჩა ჩიქოვანმა, აჩიკო არველაძემ. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ დანიელებთან მატჩისთვის ისინი ჯანმრთელნი იყვნენ..."

შოთა არველაძე: „როგორ გავიტანე გოლი? აბა, რა ვიცი... შელიამ გრძელი პასით (კანფეტივით პასი კი იყო!) მეკარესთან გამიყვანა, შევამჩნიე, ლემონტი წინ იყო გამოსული და თავზე გადავუგდე ბურთი... ასეთივე მომენტი მეორე ტაიმშიც მქონდა, მაგრამ ველარ გამოვიყვანე. ბელფასტელებმა ამის შემდეგ ჩვენი კარისკენ წამოიღეს ბურთი და გაგვიტანეს კიდეც. ფეხბურთში ასეა: ვერ გააქვს, გაგიტანენ. მიხარია, დედაჩემის დაბადების დღე გატანილი გოლით რომ აღვნიშნე".

ნუგზარ ლობჟანიძე და გიორგი ქველაძე: „თურმე რა ძნელი ყოფილა სათადარიგოთა სკამიდან ასეთი დაძაბული მატჩის ყურება. დარწმუნებული ვართ, მოედანზე რომ ვყოფილიყავით, ასე არ ვინერვიულებდით. აწი შევეცდებით, ძირითად შემადგენლობაში გადავინაცვლოთ".

გელა ინალიშვილი: „ბიჭებზე ძალიან იმოქმედა თამაშის წინა ღამეს ჩვენი სასტუმროს სიახლოვეს ჩრდილოირლანდიელი ექსტრემისტების მიერ მოწყობილმა აფეთქებამ. ღამის 12 საათი იქნებოდა, რის ვაივაგლახით ჩავეძინა და... ხმა იმდენად ძლიერი იყო, შიშვლები გამოვვარდით ნომრებიდან. მერე დიდხანს ვბორგავდით ლოგინში, ვერ დავიძინეთ, სულ თამაშზე ვფიქრობდით. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, დიდი უნამუსოები ყოფილან ლინფილდელები: გაიხედავდა თუ არა მსაჯი სხვაგან, ხან ფეხში გვირტყამდნენ, ხან კი ნერვებზე გვშლიდნენ. მათმა ათმა ნომერმა, პიბლსმა ტუჩიც კი გამიხეთქა, ვითომ შემთხვევით, შეხედე, რას ვჩადივარ..."

გოჩა ჩიქოვანი: „ხედავ, ოთხი რამხელა ნაკერი დამადეს ლოყაზე? თბილისში რომ კრავებივით იქცეოდნენ, ბელფასტელები შინ ყველაფერს კადრულობდნენ. მიხარია რომ ჩვენი დაცვა წარმატებით იგერიებდა „ლინფილდის" მასირებულ შეტევებს, ვიგებდით ბრძოლას „მეორე სართულზეც".

გიორგი ქინქლაძე: „თავიდანვე პერსონალური მცველი ლი დოჰერტი მომიჩინეს — ტანად ორი ჩემხელაა, ფიზიკურად ძლიერი. მეთამაშებოდა ძალიან მკიდროდ, ხშირად კოჭებშიც მითავაზებდა ხოლმე. პროვოკაციებს არ ავყევი და ვცდილობდი გოლით დამესაჯა ჩემი „ჯალათი".

გიორგი ნემსაძე და გოჩა ჯამარაული: „მოხარული ვართ, რომ ამ ძნელბედობის ჟამს ქართველობას მცირე საჩუქარი ვუძღვენით. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა მეორე ტაიმის ის მონაკვეთი, როდესაც მასპინძლებს ბურთი „დავუმალეთ" და „კვადრატსა" და „კარუსელს" ვათამაშებდით".

მურთაზ შელია: ჩემდა გასახარად, მასპინძლებს ტოლი არ დავუდეთ მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში. სიამოვნებით ვიგონებ იმ წუთს, როდესაც მეორე ტაიმის დასაწყისში კარგი პასი მივეცი შოთა არველაძეს, რომელმაც გოლი გაიტანა და ფაქტობრივად მატჩის ბედიც გადაწყვიტა".

ჯემალ ჭიკაშვილი



ერთადერთმა გოლმა დამარხა „ლინფილდის" ევროპული ოცნებები

(დასასრული)

ლემონტის კარში, მაგრამ ბურთი ასცდა მიზანს.

თამაშის ბოლოს მასპინძელთა მცველები დოჰერტის წინამძღოლობით ხშირად შეტევებში ერთვებოდნენ, მაგრამ აქ გადამწყვეტი სიტყვა ქინქლაძის ოსტატობამ თქვა — მან რამდენიმე სოლო-გარღვევა განახორციელა და მცველები იძულებულნი გახდნენ კვლავ უკან დაეხიათ.

მაშ ასე, „დინამომ", „ლინფილდზე" კლასით უფრო მაღალმა გუნდმა, დამსახურებულად გაიკაფა გზა შემდგომ ეტაპზე.

„ლინფილდი": ლემონტი, დორნანი, ისტონი, დოჰერტი, მაკკონელი, ბიტი (ანდერსონი), კნელი (გორმანი), ჯონსტონი, პეილოკი, პიბლსი, ბეილი;

„დინამო": ზოიძე, ნემსაძე, ჩიქოვანი, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე (ანჩაბაძე), ჯამარაული (ბურაძე), რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე.

ბრაიან მილერი,
ბელფასტის გაზეთ „ნიუს ლეთერის" რეპორტიორი, სპეციალურად ქართულ სპორტულ გაზეთ „ლელოსათვის".

შენიშვნა: ყველამ ვიცოდით, რომ „დინამოს" კარში გოლი გაიტანა გორმანმა, არბიტრი იყო ოლსენი, ჩრდილოირლანდიელი კოლეგები კი სხვას წერენ.

* * *

სურათზე: 1 სექტემბერი. ბელფასტი. „უინძორ პარკი". გიორგი ქინქლაძემ მორიგი გაკვეთილი ჩაუტარა თავის პერსონალურ დარაჯს ლი დოჰერტის.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

სხვა მატჩები

ოთხშაბათს ევროპის სტადიონებზე გაიმართა ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩები (ფრჩხილებში მოცემულია პირველი შეხვედრების შედეგები).

ჩემპიონთა თასი

„ნორმა" (ესტონეთი) — ხიკ (ფინეთი) 0-1 (1-1)

„არაუ" (შვეიცარია) — „ომონია" (კვიპროსი) 2-0 (1-2)

„რუსენბორგი" (ნორვეგია)—„ავენირო" (ლუქსემბურგი) 1-0 (2-0)

„ოლიმპია" (სლოვენია)—„სკონტო" (ლატვია) 0-1 (1-0). 10-11 პენალტებით.

„კორკ სიტი" (ირლანდია)—„კუმბრანი" (უელსი) 2-1 (2-3)

„კროატია" (ხორვატია)—„ტოფტირი" (ფარერის კუნძულები) 6-0 (5-0)

„ფლორიანა" (მალტა)—„ეკრანასი" (ლიტვა) 1-0 (1-0)

„ბეითარი" (ისრაელი)—„ზიმბრუ" (მოლდოვა) 2-0 (1-1)

„აკრანესი" (ისლანდია)—„პარტიზანი" (ალბანეთი) 1-0 (0-0)

გათამაშების პირველ წრეში გავიდნენ: ხიკი, „არაუ", „რუსენბორგი", „სკონტო", „კორკ სიტი", „კროატია", „ფლორიანა", „ბეითარი", „აკრანესი".

თასების თასი

„მაკაბი" (ისრაელი)—„დიუდელანჟი" (ლუქსემბურგი) 6-1 (1-0)

„ნემანი" (ბელარუსი)—„ლუგანო" (შვეიცარია) 2-1 (0-5)

„მიუპა" (ფინეთი)—„ვალიური" (ისლანდია) 0-1 (1-3)

„აპოელი" (კვიპროსი)—„ბანგორი" (ჩრდილოეთ ირლანდია) 2-1 (1-1)

„ლილესტრიომი" (ნორვეგია) —„ნიკოლი" (ესტონეთი) 4-1 (4-0)

„ჟალგირისი" (ლიტვა)—„კოშიცე" (სლოვაკეთი) 0-1 (1-2)

„შელბურნი" (ირლანდია)—„კარპატი" (უკრაინა) 3-1 (0-1)

„ოდენსე" (დანია)—„პუბლიკუმი" (სლოვენია) 0-0 (1-0)

გათამაშების პირველ წრეში გავიდნენ: „მაკაბი", „ლუგანო", „ვალიური". „აპოელი", „ლილესტრიომი", „კოშიცე", „შელბურნი", „ოდენსე".

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში



პირველი ჯგუფი

31 აგვისტო, VI ტური

აღმოსავლეთი ზონა

„მალაროელი" (ჭიათურა)—„ივერია" (ხაშური) 1-1

„საპოვნელა" (თერჯოლა)—„დილა" (გორი) 4-0

„შევარდენი-1906" (თბილისი)—„მეტალურგი" (რუსთავი) 6-1

„ერქვანი" (გურჯაანი)—„მარგვეთი" (ზესტაფონი) 3-3

დასავლეთი ზონა

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „ცხუმი" (სოხუმი) 1-1

„სამგურალი" (წყალტუბო)—„გურია" (ლანჩხუთი) 1-3

„ტორპედო" (ქუთაისი)—„ბათუმი" (ბათუმი) 1-2

„შუქურა" (ქობულეთი)—„ოდიში" (ზუგდიდი) გადაიდო

„კოლხეთი-1913" (ფოთი)—„სამტრედია" (სამტრედია) გადაიდო

გათამაშების ცხრილები

პირველი ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	4	4	0	0	19—2	12
„შევარდენი-1906" (თბილისი)	5	3	0	2	13—9	9
„კახეთი" (თელავი)	4	2	1	1	5—4	7
„საპოვნელა" (თერჯოლა)	6	2	1	3	8—8	7
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	5	2	1	2	7—10	7
„მალაროელი" (ჭიათურა)	5	2	1	2	5—8	7
„დილა" (გორი)	5	2	0	3	5—8	7
„ივერია" (ხაშური)	5	1	2	2	6—7	5
„ერქვანი" (გურჯაანი)	5	1	2	2	9—12	5
„მრეტები" (თბილისი)	2	1	0	1	1—2	3
„მეტალურგი" (რუსთავი)	4	1	0	3	4—12	3

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბათუმი" (ბათუმი)	5	5	0	0	15—3	15
„გურია" (ლანჩხუთი)	4	4	0	0	19—3	12
„სამტრედია" (სამტრედია)	5	3	1	1	13—7	9
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	4	3	0	1	10—5	9
„ტორპედო" (ქუთაისი)	5	2	1	2	6—6	7
„მზიური" (გალი)	5	1	1	3	4—14	4
„სამგურალი" (წყალტუბო)	5	1	0	4	4—13	3
„ამირანი" (ოჩამჩირე)	5	0	3	2	11—13	3
„ცხუმი" (სოხუმი)	5	0	3	2	11—13	3
„ოდიში" (ზუგდიდი)	4	0	2	2	8—12	2
„შუქურა" (ქობულეთი)	3	0	1	2	4—17	1

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის გუშინ გამართული მატჩების შედეგები.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები

ბელგია. „ანდერლეხტმა" V ტურში დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა „გენკი" — 6-2, მოაგროვა 10 ქულა და კვლავინდებურად ლიდერობს გათამაშებას. ამ ტურის სხვა შედეგები: „ოსტენდე" — „ეკერენი" 2-2, „გენტი"—„სერენგი" 0-0, „სერკლი"—„ლიეჟი" 3-3, „ანტვერპენი"—„ვარეგემი" 2-0, „შარლერუა"—„ბრიუგე" 0-1, „სტანდარდი"—„ბევერენი" 0-0, „ლიერსი"—„მეჰელენი" 0-0, „ლომელი"—„მოლენბეკი" 3-1.

პორტუგალია. ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით ლიდერობს ორი ცნობილი კლუბი — „ბოავიშტა" და „სპორტინგი". ლისაბონის „ბენფიკამ" შინ ქულა დაკარგა „ეშტორილთან" შეხვედრაში (1-1), ხოლო „პორტო" სტუმრად დამარცხდა „მარიტიმოსთან" — 0-1.

საფრანგეთი. VI ტურში „მონაკომ" და „მარსელმა" ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს — 0-0. „პარი-სენ-ჟერმენმა" დაამარცხა „კაენი" — 2-0, „ოსერმა"—„ლიონი"—3-2, 9 ქულით ლიდერობს „კანი", 8-8 ქულა აქვთ „ბორდოსა" და „ნანტს", შემდეგ კი ერთბაშად მოდის შვიდი გუნდი, რომლებმაც 7-7 ქულა მოაგროვეს.

გერმანია. მიუნხენის „ბაიერნისა" და „შტუტგარტის" შეხვედრით დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტური. დებიუტანტმა „დუისბურგმა" მეტოქის მინდორზე გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო გერმანიის ჩემპიონს ბრემენის „ვერდერს" — 5-1. „ბორუსიამ" დაამარცხა „შალკე-04" — 3-2, „კაიზერსლაუტერნმა" — „ნიურნბერგი" — 3-1, ხოლო „აინტრახტმა" — „კარლსრუე" — 3-1.

სურათებზე: „თეთრი არწივისა“ და „ქართლის“ შეხვედრის მომენტი; მაყურებელთა შორის არიან კოტე გაბაშვილი (მარცხნიდან პირველი) და გია ყარყარაშვილი (მარჯვნიდან პირველი).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„თეთრი არწივი“ აფრინდა...

რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ამიერიდან თავის ფეხბურთელთა გუნდი ჰყავს „თეთრი არწივი“. ამით საფუძველი ეყრება თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში საარმიო ფეხბურთის ახალ ტრადიციას. ჩვენი თავდაცვის სამინისტროს ახალშექმნილმა საფეხბურთო კლუბმა ამ დღეებში მეორე მატჩი ჩაატარა საქართველოს პირველობაზე.

თბილისი, ავლაბრის სტადიონი.

„თეთრი არწივი“ — „ქართლი“ (გორი) 5-1. მსაჯები: მ. ჯულაყიძე, რ. გარნოვსკი, ს. კახიანი (სამივე — სამტრედია). **„თეთრი არწივი“**: გუგუნავა, ტეფნაძე, მესტუმრე, კაპანაძე (კალმახელიძე), მდივნიშვილი (თურმანიძე), მაისურაძე, ხოსროშვილი, ნადირაძე, ცაავა, შუბითიძე, კოჩაძე (კოჩიაშვილი); **„ქართლი“**: მაისურაძე, ჰოპელი, ნადიბაიძე, ქერდიკაშვილი, ელქანოვი, მელაძე, ელიკაშვილი, ხოხობაშვილი (სამხარაძე), გაჩეშვილი, თედეევი (ხადური), აკოფიანი.

გააფრთხილეს: მელაძე, ელიკაშვილი.

გოლები: ცაავა — 2, ელიკაშვილი, ნადირაძე, კოჩაძე, შუბითიძე.

თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე შექმნილი „თეთრი არწივის“ საფეხბურთო კლუბის თამაში თბილისელებმა პირველად ნახეს და კმაყოფილებმაც დატოვეს სტადიონი.

მატჩი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ანგარიში ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევის დროს სტუმრებმა გახსნეს. თბილისელთა შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა გრიგოლ ცაავა, რომელიც ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო.

სლავა სოლოღაშვილი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

●

მეორე ჯგუფი

1 სექტემბერი, II ტური

აღმოსავლეთი ზონა:

„ერქვანი“ (თბილისი)—„ანცი“ (თბილისი) 1-2

„ჰაბუკიანი“ (ჰაბუკიანი)—„მერანი-ბაჩო“ (თბილისი) 4-0

„თეთრი არწივი“ (თბილისი)—„ქართლი“ (გორი) 5-1

„შირაქი“ (დედოფლისწყარო) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2-0

„ნაფარეული“ (ნაფარეული)—„დურუჯი“ (ყვარელი) 2-0

„თორი“ (ბორჯომი)—„ეკობელა“ (თბილისი) 0-0

„სიონი“ (ბოლნისი)—„არმაზი“ (მცხეთა) 2-1

დასავლეთი ზონა

„ულუმბო“ (ვანი)—„გურია-2“ (ლანჩხუთი) 2-1

რამდენი ჩემპიონი ეყოლება ჭადრაკს?

ამსტერდამი. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) ინიციატივით აქ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც განიხილეს კარპოვ-ტიმანის მატჩთან დაკავშირებული დეტალები. აღინიშნა, რომ მატჩში (იგი დაიწყება 6 სექტემბერს) გამარჯვებული გამოცხადდება მსოფლიოს ოფიციალურ ჩემპიონად. შეხვედრის საპრემიო ფონდი განისაზღვრა 2 მილიონი შვეიცარიული ფრანკით, რაც დაახლოებით 2,5 მილიონ გულდენს შეადგენს. ეს თანხა ძირითადად გამოყვეს ომანელმა სპონსორებმა. როგორც ცნობილია, მატჩის დასკვნითი ნაწილი სწორედ ომანში გაიმართება, პირველი ნახევარი კი ჰოლანდიის ქალაქებში: სამი პარტია — ზვოლში, სამი — არნემში და ექვსი — ამსტერდამში. სულ მეტოქეები 24 პარტიას გაითამაშებენ.

პრესკონფერენციაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა და მატჩის ერთ-ერთმა მონაწილემ იან ტიმანმა.

ფ. კამპომანესი: „ფიდე არავითარ ნაბიჯს არ გადადგამს ჭადრაკის სამყაროში წესრიგის [illegible]დგენად და ამ პოლიტიკას გ[illegible]ძელებთ მანამ, სანამ იარს[illegible] კასპაროვისა და შორტის მიერ შექმნილი პროფესიონალ მოჭადრაკეთა უკანონო ასოციაცია“.

ი. ტიმანი: „კასპაროვი ჩემი აზრით, აჩქარდა, როცა ასოციაცია ქმნიდა. ეს უფრო იმპულსური საქციელი იყო, ვიდრე ობიექტური პირობებით ნაკარნახევი ნაბიჯი. ყოველ შემთხვევაში, ფიდე ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებს. ჩემი აზრით, არც შორტს უფიქრია ბევრი მის მიერ გადადგმული ნაბიჯის შედეგებზე. დარწმუნებული ვარ, რომ დიდად ინანებს, მაგრამ გვიან იქნება“.

საგზურების მაძიებლები

როგორც ცნობილია, 1994 წელს ტორონტოში გაიმართება კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი. ამ ტურნირში მონაწილეობის უფლებისთვის იბრძვიან აშშ-ში მიმდინარე საკვალიფიკაციო შეჯიბრების მონაწილენი. გთავაზობთ მეორე და მესამე კალენდარული დღის შედეგებს და გუნდების სატურნირო მდგომარეობას.

პირველი ჯგუფი. აშშ — ვენესუელა 97:85, ბრაზილია — დომინიკანთა რესპუბლიკა 84:80, ვენესუელა — დომინიკანთა რესპუბლიკა 85:78, ბრაზილია — პანამა 86:75.

	მ.	წ.	ქ.
აშშ	3	0	6
ვენესუელა	2	1	5
ბრაზილია	1	2	4
პანამა	1	2	4
დომ. რესპ.	0	3	3

მეორე ჯგუფი. არგენტინა — კუბა 92:84, კანადა — ურუგვაი 102:86, არგენტინა — ურუგვაი 94:90, პუერტო-რიკო — კუბა 110:76.

	მ.	წ.	ქ.
არგენტინა	3	0	6
პუერტო-რიკო	2	1	5
კანადა	2	1	5
კუბა	1	2	4
ურუგვაი	0	3	3

◆ ◆ ◆

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ერთეულები, ვაჟები. უ. [illegible]რეირა (სამხ. აფრიკა) — პ. [illegible] (ჩეხეთი) 7:6, 4:6, 7:6, 3:6, 6:2; პ. ჰაარხუისი (ჰოლანდია) — დ. უიტონი (აშშ) 0:6, 7:6, 6:4, 6:4; კ-უ შტეები (გერმანია) — ჯ. სტოლტენბერგი (ავსტრალია) 1:6, 6:3, 6:4, 6:2; ი. სვენსონი (შვეცია) — გ. პრპიჩი (ხორვატია) 6:1, 6:2, 7:6; კ. ნოვაჩეკი (ჩეხეთი) — მ. ტიბატი (ავსტრალია) — 6:3, 6:2, 6:3; ჩაკ ადამსი (აშშ) — კრის ვუდრაფი (ავსტრალია) 6:3, 6:4, 0:6, 6:3; კ. ალეტი (სამხ. აფრიკა) — ა. ობრაიანი (აშშ) 6:3, 5:7, 5:7, 6:1, 6:4; ხ. იზაგა (პერუ) — ა. ჩესნოკოვი (რუსეთი) 6:7, 6:3, 6:2, 6:1; შ. მაცუოკა (იაპონია) — ა. ოლხოვსკი (რუსეთი) 6:2, 6:3, 6:2; ა. ვოლკოვი (რუსეთი) — ჯ. სტარკი (აშშ) 1:6, 6:3, 6:4, 6:7, 6:3; დ. პოლიაკოვი (რუსეთი) — ბ. გარნეტი (აშშ) 6:3, 6:2, 6:2.

ქალები. მ. ნავრატილოვა (აშშ) — გ. პიციკინი (იტალია) 6:0, 6:1; ა. ჰუბერი (გერმანია) — ჰ. ქსავენდტი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:2; მ. მალეევა (ბულგარეთი) — მ. ვერდელი (აშშ) 7:5, 6:4; ლ. გოლარსა (იტალია) — რ. დრაგომირი (რუმინეთი) 6:2, 6:3; კ. მარტინესი (ესპანეთი) — ს. ტესტო (საფრანგეთი) 6:2, 6:3; ე. დიხოვცევა (რუსეთი) — ა. ლინდი (აშშ) 6:3, 6:2.

„ბოლო გაჩერებამდე“ ჯერ შორსაა

თუ ოცის გახდი, ამ „მდინარეში“ ვეღარ შეხვალ, თუ არა — დაბრუნდი, კიდევ გაქვს შანსი და თანაც უკეთესი — შენ უკვე იცი, როგორ გახვიდე ფონს...

ჭადრაკს და ქართველ ქალს, სინონიმებად რომ აღიქვამდა მთელი მსოფლიო, იმხანად სხვა რა სახელობას შეურჩევდნენ მშობლები 8 წლის მადონა შალამბერიძეს. ჰოდა, „მიაბარეს“ კიდეც ჭადრაკზე და გაფაციცებულები დაუდარაჯდნენ შედეგებს. გავიდა სამი წელი და მადონამ მართლაც მოახდინა სენსაცია — 11 წლისა საქართველოს ჩემპიონი გახდა... შაშში!

წელიწადი მეცადინეობდა ჭადრაკში, თბილისის 23-ე სკოლას. მოშაშეთა მწვრთნელმა თენგიზ რეხვიაშვილმა რომ მიაკითხა და პერსპექტიულთა შესარჩევად შეჯიბრებაც მოაწყო. მადონას „მომრევი“ არც ვაჟი გამოჩნდა, არც გოგო, მთელ კლასს „დაერია“, ყველა პარტია მოიგო და: ეს ვინ ყოფილა! შაშისთვის ხარ, შვილო, გაჩენილი, რა გინდა ჭადრაკზეო?! — გადაირია მწვრთნელი. ეეჰ, თენგიზ მასწ. რომ შეემჩნიათ, რა მოხერხებულად აწაპნა ერთი-ორჯერ მადონამ მეტოქეს ქვები, უკაცრავად, შაშის პაიკები (ქვები რა, რიყეა?!), იქნებ გაბრაზებულიყავით კიდეც. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, უკან, რა თქმა უნდა, არ დაიხევდით — გოგონას ნიჭი და აზარტი ისეთივე აშკარა იყო, როგორც მისი მხიარული, „მოთამაშე“ ხასიათი (ამ სალაღობო ამბის გახსენებისას, მადონა უცებ სახეს „ისერიოზულებს“ და საჩქაროდ მარწმუნებს, რომ ეს იყო პირველი და უკანასკნელი „კრიმინალი“ მის „საშაშო ბიოგრაფიაში“, რაზეც უკვე მე მეცინება — ჯერ კიდევ ნორჩმა, ისე უცებ შეაბიჯა „დიდ შაშში“. ქვებს ვინღა მოაპარინებდა). შემოთავაზებულ წინადადებას მადონა ცივად შეხვდა, „გაიპრანჭა“ — ჭადრაკი არ ეთმობოდა (არც მის მშობლებს დახატვიათ გულზე „ფიგურების გამოცვლის“ პერსპექტივა), მაგრამ ივარგა თენგიზ რეხვიაშვილმა და აგერ უკვე 7 წელია ერთად არიან. ამ ხნის მანძილზე ბევრიც მოასწრეს: მადონა შალამბერიძე საქართველოს ჩემპიონობასაც „გაუშინაურდა“, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა 20 წლამდე ასაკის გოგოებს შორის და პარიზის საერთაშორისო ტურნირის ვიცე-ლაურეატის წოდებაც მოიპოვა. ერთი სიტყვით, მადონა ჩვენი შაშის პრიმადონაა და სხვა ვინ გაგვეგზავნებოდა აგვისტოს დამლევს ჰოლანდიის ქალაქ რედენში გამართულ 20 წლამდე ასაკის მოშაშე გოგოების მსოფლიო პირველობაზე.

მადონა შალამბერიძე

ასეთი რანგის ტურნირზე ჩვეულებრივ, უძლიერესთაგან ვერავის მოისაკლისებ და გამონაკლისი არც რედენში მომხდარა — ყველა აქ იყო, ვისაც ხვალ-ზეგ ქალთა შაშის მსოფლიო ელიტაში მოხვედრის პერსპექტივა და პრეტენზია აქვს. მადონა შალამბერიძემ 9 შესაძლებლიდან (შვეიცარიული სისტემით) 6 ქულა მოაგროვა (4 მოგება, 4 ფრე, 1 წაგება) და II-III ადგილები გაიყო ბალტიისპირელ ინგრიდ დრუკტეინიტესთან ერთად (პირველი იყო ტაჯიკი გულია გაიბოვა). მოგეხსენებათ, ასეთ შემთხვევაში მსაჯები „დავთრებში იქექებიან“ — ამოწმებენ კოეფიციენტთა ცხრილს, რომელმაც მადონას საბოლოოდ III ადგილი არგუნა.

და აი, „მდინარესაც“ მივადექით: იყო მსოფლიოში მესამე, რა თქმა უნდა, სასახელოა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არსებობს დიდი შანსი (ეს შანსი, ცხადია, მადონას ნიჭია), ამ შედეგს აუცილებლად მოჰყვეს „გაგრძელება“ — „ოცწლამდელთა“ ამ მსოფლიო პირველობის ფავორიტთა უმეტესობისთვის (მადონას მჯობნელებისთვის და მათთვისაც, ვინც მან ჩამოიტოვა) რედენის ტურნირი „ბოლო გაჩერება“ გახლდათ, რადგან „გადაზრდის“ გამო მათ გაისად ამგვარ პირველობაში გამოსვლის უფლება აღარ ექნებათ — მოზრდილებში უნდა გადაინაცვლონ, მადონა კი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, ასე რომ...

დასასრულ, მადონას თხოვნა: „მსურს თქვენი გაზეთის მეშვეობით დიდი მადლობა გადავუხადო დახმარებისა და თანადგომისთვის კორპორაცია „ბანი და კომპანიას“, პირადად ბატონებს: ვაჟა ნინუას და ჯანო ბაგრატიონს“.

თ. შენგელია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უხუცესი ქართველი ფეხბურთელი, მსაჯი და მწვრთნელი, ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი

ნესტორ ჩხატარაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების თიანეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე

ალექსანდრე შენგელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაწევრიანდა...

საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა რევაზ რობაქიძემ მიიღო ცნობა ბელგიის ქალაქ ბრიუსელიდან:

ბალახის ჰოკეის მსოფლიო ფედერაციის კონგრესზე ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად მიიღეს საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია.

დღეისათვის ბალახის ჰოკეის მსოფლიო ფედერაცია აერთიანებს 114 ქვეყანას.

ლერი ფაჩუაშვილი

სპორტული ტელეეკრანი

თბილისი

4 სექტემბერი. 22.30. სპორტი, სპორტი, სპორტი... **5 სექტემბერი. 16.40.** მწვერვალთა დამპყრობი — გრიგოლ გულბანი. **22.00.** სპორტი, სპორტი, სპორტი...

7 სექტემბერი. 21. 15. სპორტული პროგრამა: 1. საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში, 2. „უმბრო“ საქართველოში.

„ოსტანკინო“

4 სექტემბერი. 8.30. სპორტ-შანსი. **19.10.** ულტრა-სი. ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი ვაჟთა შორის: რუსეთი (ნაკრები) — უკრაინა (ნაკრები). გადაცემა ფინეთიდან. **5 სექტემბერი. 10.30.** „სპორტლოტოს“ ტირაჟი. **22.45.** სპორტული უიკ-ენდი. **0.20.** ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა შორის: ფინეთი (ნაკრები) — რუსეთი (ნაკრები). გადაცემა ფინეთიდან.

6 სექტემბერი. 11. 30. გოლი. **11.40.** გოლი (განმეორებით). **23. 20.** მსოფლიო პირველობა ჭადრაკში.

„როსია“

4 სექტემბერი. 15. 50. ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. **17. 10.** ფეხბურთი საზღვრებს გარეშე. **23. 30.** სპორტული კარუსელი. **5 სექტემბერი. 14. 35.** ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. **15. 50.** მსოფლიო ჩემპიონატი მოტორბოლაში. ჩეხის „გრან-პრი“. **23. 30.** სპორტული კარუსელი.